ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ჯუმბერ ბერძენიშვილს

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის მინდია ჟღერიას

განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საფუძველზე, მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა დადგენილების პროექტი - ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის შემოღებისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“.

დადგენილებით მტკიცდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მათ შორის დაბა ბახმაროში, დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქცია და განისაზღვრება მოსაკრებლის ოდენობა.

დადგენილება, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომლებზეც ვრცელდება დასუფთავების მოსაკრებლის გადახდასთან დაკავშირებული შეღავათები. ამასთანავე, დადგენილებით განაწილებულია, მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებსა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს შორის დასუფთავების მოსაკრებლის ამოღებისა და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მისი ჩარიცხვის კონტროლის ფუნქციები.

დადგენილების ამოქმედების შემდეგ, მუნიციპალიტეტის მერია, გეგმავს დასუფთავების მოსაკრებლის ელექტრონული პროგრამის განახლებას, პროგრამას გააჩნია ონლაინ გადახდების მხარდაჭერა. ელექტრონული პროგრამის ამოქმედება ხელს შეუწყობს მოსაკრებლის გადახდის პროცესის გამარტივებას, გადამხდელთა ერთიანი ელექტრონული ბაზის წარმოებას, გადახდებისა და დავალიანებების ეფექტიან მონიტორინგს, ასევე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შემოსავლების მობილიზების გაუმჯობესებას.

პროექტის ავტორია და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის განვითარების განყოფილების უფროსი ლელა მდინარაძე.

მუნიციპალიტეტის მერი: მინდია ჟღერია